ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

(საჩვარი 45987/21)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

22 თებერვალი 2024

ფაქტები

1. საქმე ეხება პოლიციის დევნის შედეგად მომჩივანის ვაჟის გარდაცვალებას დახრჩობით. მომჩივანი ჩიოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-13 მუხლების (სამართლებრივი დცვის ქმედითი საშუალების უფლება) მიხედვით.
2. 2016 წლის 1-ელ აგვისტოს, ღამის 2:30 და 3 საათის შუალედში, მომჩივანის ვაჟი ზ.ე. თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მართავდა მანქანას სავარაუდოდ მაღალი სიჩქარით, როცა პოლიციის ორმა ოფიცერმა, რომლებიც პატრულირებდნენ მას უბრძანა გადაეყენებინა მანქანა. როგორც ჩანს ზ.ე. არ დაემორჩილა მოთხოვნას, მოუმატა სიჩქარეს და პოლიციის ოფიცრები დაედევნენ მას პოლიციის მანქანით. ამის შემდეგ მალევე, ზ.ე.-მ დაკარგა კონტროლი საკუთარ მანქანაზე და დაეჯახა გაჩერებულ მინივენს. პოლიციის ორი ოფიცრის ჩვენების მიხედვით, შემდეგ ზ.ე.-მ დატოვა საკუთარი მანქანა და გაიქცა ბნელი, ბუჩქოვანი ადგილისკენ. პოლიციის ორი ოფიცერი დაედევნა მას ფეხით, თუმცა მალევე დაკარგეს ხედვის არედან. ისინი დაბრუნდნენ საკუთარ მანქანაში. ამ დროის მანძილზე, საპატრულო პოლიციის კიდევ ხუთი მანქანა გაჩერდა შემთხვევის ადგილზე. გამოძიების ფაილების მიხედვით, პოლიციის ყველა ოფიცერმა ჩაატარა ზ.ე.-ს ძიება, თუმცა ვერ შეძლეს მისი პოვნა სიბნელეში. შემდგომ პოლიციის ოფიცრებმა დატოვეს ადგილი და ზ.ე.-ს მანქანა გადაიყვანეს პოლიციის სადგომზე.
3. იმავე დღეს, იმ პოლიციის ოფიცრებიდან ერთ-ერთმა, რომლებიც მომჩივანს დაედევნენ შეადგინა საგზაო შემთხვევის ოქმი, იმაზე მითითებით, რომ 3 საათზე მან და მისმა კოლეგებმა შენიშნეს, რომ მანქანა მოძრაობდა მაღალი სიჩქარით. გადაყენების ბრძანების მიუხედავად მძღოლმა განაგრძო სიჩქარის მომეტება იქამდე ვიდრე არ დაეჯახა გაჩერებულ მანქანას. ოქმის მიხედვით, მძღოლი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. პოლიციის ოფიცერმა ოქმში მიუთითა, რომ მათ მოითხოვეს საჯარიმო სადგომზე მანქანის გადაყვანა და შემდეგ დატოვეს შემთხვევის ადგილი. ოქმში ნახსენები არ არის მომჩივანის ვაჟის ვინაობა (მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა პირადი ნივთები ნაპოვნი იქნა მის მანქანაში მოგვიანებით), არც ის ფაქტი, რომ

პოლიციის ორმა ოფიცერმა მისდია მას ფეხით და დაკარგა მხედველობიდან იგი, ან ის, რომ პოლიციის ოფიცრები, რომლებიც შემთხვევის ადგილზე მივიდნენ ასევე ეძებდნენ მას, თუმცა წარუმატებლად.

4. 2016 წლის 3 აგვისტოს მომჩივნის ვაჟის სხეული იპოვეს მდინარეში. პოლიციის მიერ იმავე დღეს დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანით და რამდენიმე საგამოძიებო ზომა იქნა გატარებული. შემთხვევაში ჩართული პოლიციის ორი ოფიცერი დაიკითხა 2016 წლის 7 აგვისტოს. ორივე მათგანმა მიუთითა, რომ შეჯახების შემდეგ მათ გააჩერეს თავიანთი მანქანა და დაედევნენ ზ.ე.-ს ფეხით. თუმცა, მათ მალევე დაკარგეს იგი სიბნელეში და დაბრუნდნენ თავიანთ მანქანაში. პოლიციის სხვა ოფიცრებმა, რომლებიც მივიდნენ შეჯახების ადგილზე, ასევე დაათვალიერეს მიდამო უშედეგოდ. კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემისას პოლიციის ოფიცრებმა მიუთითეს, რომ მათ არ შეუმჩნევიათ მდინარე ახლომახლო და რომ არ გაუგიათ ვინმეს წყალში ჩავარდნის ხმა.
5. 2016 წლის 8 აგვისტოს პასუხისმგებელი გამომძიებელი ცდილობდა მოეპოვებინა ვიდეოჩანაწერები შესაბამის ტერიტორიაზე განთავსებული რამდენიმე საგზაო კამერიდან (CCTV). 2016 წლის 17 აგვისტოს თბილისის საპატრულო პოლიციაში ასეთ საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა მიაწოდა გამომძიებელს ჩანაწერები, იმაზე მითითებით, რომ დანარჩენი კამერები არ მუშაობდა შემთხვევის დღეს. 2016 წლის 31 აგვისტოს გამომძიებელმა მოითხოვა დამატებითი ვიდეოჩანაწერები. 2016 წლის 3 სექტემბერს მას უთხრეს, რომ ვიდეოჩანაწერი აღარ იყო ხელმისაწვდომი, ვინაიდან შესაბამისი შენახვის ვადა ამოიწურა 2016 წლის 31 აგვისტოს.
6. 2016 წლის 21 სექტემბერს მომჩივანმა იჩივლა პროკურორთან, რომ გამოძიება შესაბამისად არ იკვლევდა მისი ვაჟის გარდაცვალების ირგვლივ ყველა მნიშვნელოვან გარემოებას და რომ სხვასთან ერთად ადგილზე არსებული კამერების მნიშვნელოვანი CCTV ვიდეოჩანაწერები არ იქნა მოპოვებული და გამოკვლეული.
7. 2016 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნდა სასამართლო სამედიცინო დასკვნა, რომლის მიხედვით ზ.ე.-ს გარდაცვალება გამოიწვია ასფიქსიამ წყალში დახრჩობამ. ასევე აღმოაჩინეს სისხლჩაქცევები სახეზე და ქვედა კიდურებზე. მის სისხლში ალკოჰოლის დონე იყო 0.68%.
8. 2016 წლის 25 ნოემბერს მომჩივანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი გამოძიებასთან დაკავშირებით. შემდეგ დღეს გამომძიებელი ცდილობდა მოეპოვებინა CCTV ვიდეოჩანაწერები კერძო საკუთრებებიდან, თუმცა უთხრეს რომ ასეთი ვიდეოჩანაწერები არ იყო ხელმისაწვდომი. 2016 წლის დეკემბერში გამომძიებელი ცდილობდა მოეპოვებინა დამატებით ვიდეოჩანაწერები საგზაო

კამერებიდან და კერძო CCTV კამერებიდან. თუმცა მათ შეატყობინეს, რომ ჩანაწერები აღარ იყო ხელმისაწვდომი.

9. 2016 წლის დეკემბერში დაიკითხნენ პოლიციის დანარჩენი ოფიცრები. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ისინი შემთხვევის ადგილზე მივიდნენ, ზ.ე. უკვე გაუჩინარებული იყო; მათ დაათვალიერეს ტერიტორია ფანრების დახმარებით, თუმცა არ უნახავთ ან გაუგიათ რამე.
10. 2017 წლის 6 ნოემბერს, მომჩივანის რამდენიმე საჩივრის შედეგად, საქმე შემდგომი გამოძიებისთვის გადაეცა თბილისის პროკურატურას. ყველა მნიშვნელოვანი მოწმე ხელახლა იქნა დაკითხული და 2020 წლის აგვისტოში გამოძიება სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის დანაშაულზეც გავრცელდა. მათი ხელახალი დაკითხვისას, პოლიციის ორმა ოფიცერმა, რომლებიც დაედევნენ ზ.ე.-ს, განაცხადეს, რომ არ დაურეკავთ სამაშველო სამსახურისათვის, ვინაიდან არ უფიქრიათ, რომ ზ.ე.-ს სიცოცხლე რისკის ქვეშ იყო. მათი ჩვენებების მიხედვით, ისინი ძებნისას მიადგნენ კლდის კიდეს, თუმცა არ დაუნახავთ მდინარე და არ გაუგონიათ ვინმეს წყალში ჩავარდნის ხმა. ამასთან ერთად, მათ არ შეეძლოთ სიბნელეში რაიმეს დანახვა, ამ მიზეზის გამო, ისინი არ ჩასულან კლდეზე ტერიტორიის უკეთ შესამოწმებლად.
11. საქმის მასალების მიხედვით, გამოძიება ისევ მიმდინარეა და დღემდე ბრალი არავის მიმართ არ არის წაყენებული.

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

12. მომჩივანი ჩიოდა საკუთარი ვაჟის გარდაცვალებასა და ამასთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიების არარსებობაზე, კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლების მიხდევით. როგორც საქმის ფაქტებისათვის კანონით მინიჭებული დახასიათების ოსტატი (იხილეთ *Radomilja and Others v. Croatia* [GC], nos. 37685/10 და 22768/12, §§ 114, 124 და 126, 20 მარტი 2018), სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი განიხილება მხოლოდ მე-2 მუხლით.
13. მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი დაუშვებელია ექვს თვიანი დროის ლიმიტის დაუცვლობის გამო. სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებითა და წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაუშვებლობის მოთხოვნის არც ერთი შუამდგომლობა. (იხილეთ *Machalikashvili and Others v. Georgia*, no. 32245/19, §§ 68-69, 19 იანვარი 2023; ასევე იხილეთ *Shavadze v. Georgia*, no. 72080/12, §§ 26-27, 19 ნოემბერი 2020; *Mikeladze and Others v. Georgia*, no. 54217/16, § 51, 16 ნოემბერი 2021; და *Gaidukevich v. Georgia*, no. 38650/18, § 51, 15 ივნისი 2023). იგი ასევე მიიჩნევს, რომ საჩივარი არ არის აშკარად

დაუსაბუთებელი კონვენციის 35 § 3 (a) მუხლის მნიშვნელობით ან დაუშვებელი რაიმე საფუძვლით. შესაბამისად, იგი უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

14. საჩივრის პროცედურული ნაწილიდან დაწყებული, კონვენციის მე-2 მუხლის ქვეშ სისხლისსამართლებრივი გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებით ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეში *მუსტაფა ტუნჩი და ფეჯირე ტუნჩი თურქეთის წინააღმდეგ* (Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey) ([GC], no. 24014/05, §§ 172-81, 14 აპრილი 2015) და *ნიკოლაე ვირგილიუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ* (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania*) ([GC], no. 41720/13, §§ 165-68, 25 ივნისი 2019).
15. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება მომჩივანის ვაჟის გარდაცვალებასთან დაკავშრებით და რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი და დროული საგამოძიებო ზომა იქნა გატარებული, მოწმეთა დაკითხვისა და სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ჩათვლით. იგი ასევე მიუთითებს, რომ მომჩივანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან დაკავშირებით და ჰქონდა საქმის მასალებზე წვდომა და შეეძლო შესაბამისი არგუმენტების გაკეთება.

16. ამავე დროს, სასამართლოს არ შეუძლია შეუმჩნევლად დატოვოს ის ფაქტი, რომ კავშირი მომჩივანის ვაჟის გარდაცვალებასა და პოლიციის მიერ მის დევნას შორის აშკარა იყო 2016 წლის 3 აგვისტოსათვის, და მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები ითვალისწინებს, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაული უნდა გამოიძიოს პროკურორმა, გამოძიება კი პოლიციას დაევალა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 4). გამოძიება პროკურორის მიერ მხოლოდ 15 თვის შემდეგ დაიწყო. აქედან გამომდინარე გამოძიების ყველაზე გადამწყვეტი ეტაპი ჩატარდა იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი იმ პოლიციის ოფიცრებისაგან, რომელთაც შესაძლოა ამ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა (იხილეთ *Shavadze*, ციტირებული ზემოთ, § 35; იხილეთ ასევე *Edzgveradze* v. Georgia, no. 59333/16, § 40, 20 იანვარი 2022, და *Machalikashvili and Others*, ციტირებული ზემოთ, § 87, შემდგომი მითითებებით). უფრო მეტიც, გამოძიების რამდენიმე მთავარი ხარვეზიც პირდაპირ კავშირშია ამ ფაზასთან.
17. უპირველესად, იმის აღნიშვნა, რომ ვიდეოთვალთვალის კადრები შესაძლოა იყოს მტკიცებულება, რომელიც გადამწყვეტია მნიშვნელოვანი მოვლენების გარემოებების დასადგენად (იხილეთ *M.H. and Others v. Croatia*, nos. 15670/18 და 43115/18, § 271, 18 ნოემბერი 2021, შემდგომი მითითებებით), სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში CCTV მტკიცებულების მოპოვებისა და დამუშავების წესი არადამაკმაყოფილებელი იყო. როგორც ჩანს საგზაო კამერებისა და კერძო CCTV კადრების მოპოვებაზე მოთხოვნების უმეტესობა დაგვიანებით იქნა გაკეთებული, ამასობაში პოტენციურად

მნიშვნელოვანი მტკიცებულებები დაიკარგა ან წაიშალა (იხილეთ ზემოთ პარაგრაფები 5-6 და 8).

18. მეორეც, შეუსაბამობაა პოლიციის ორი ოფიცრის ჩვენებებსა და 2016 წლის 1 აგვისტოს საგზაო შემთხვევისთანავე შედგენილ ოქმს შორის. არავითარი განმარტება არ აგეკთებულა იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ შეიცავდა ინციდენტის სრულ აღწერას საგზაო შემთხვევის პირველადი ოქმი. ამდენად, ფაქტი, რომ მომჩივანის ვაჟს სიბნელეში გაქრობამდე ფეხით მისდევდა ორი პოლიციელი და ძებნაში პოლიციის სხვა ოფიცრების სავარაუდო ჩართულობა, საერთოდ გამოტოვებულია ოქმში (იხილეთ ზემოთ, პარაგრაფი 3). როგორც სასამართლომ ადრეც აღნიშნა ზოგჯერ სიცოცხლე იკარგება მთლიანი სისტემის წარუმატებლობის გამო და არა ინდივიდუალური შეცდომების გამო, რაც იწვევს სისხლისსამართლებრივ ან დისციპლინარულ პასუხისმგებლობას. პოლიციის რთულ ოპერაციებში წარუმატებლობა შესაძლოა იყოს ინსტიტუციური, ინდივიდუალური ან ორივე ერთად (იხილეთ *Armani Da Silva v. the United Kingdom* [GC], no. 5878/08, § 284, 30 მარტი 2016). წინამდებარე საქმეში შიდასახელმწიფოებრივი ორგანოები ვერ მივიდნენ რაიმე დასკვნამდე ამ მხრივ შესაძლო ხარვეზების შესახებ.

19. ასევე, პოლიციის დანარჩენი ოფიცრები პირველად დაკითხეს დაახლოებით ოთხი თვის დაგვიანებით (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 9). მთავრობის მიერ ახსნა-განმარტებების არარსებობის პირობებში, სასამართლო თვლის, რომ ასეთი დაყოვნება გაუმართლებელია (იხილეთ *Ramsahai and Others v. the Netherlands* ([GC], no. 52391/99, § 331, ECHR 2007-II; იხილეთ ასევე *Machalikashvili and Others*, ციტირებული ზემოთ, § 92, შემდგომი მითითებებით).

20. ბოლო და არა უკანასკნელი, უკვე 7 წელზე მეტია გამოძიება მიმდინარეობს. მთავრობას არ გაუკეთებია რაიმე განმარტება ასეთი ხანგრძლივი გამოძიების შესახებ. გაჭიანურებული სისხლისამართლებრივი გამოძიებების პრობლემის განმეორებითი ხასიათის გამო, განსაკუთრებით იმ საქმეებში, რომელიც ეხება საეჭვო სიკვდილს ან/და არასათანადო მოპყრობას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ჩართულობით (იხილეთ *Shavadze*, § 36, შემდგომი მითითებებით; *Mikeladze and Others*, § 68, შემდგომი მითითებებით; and *Gaidukevich*, § 63, ყველა ციტირებული ზემოთ),სასამართლო ადგენს, რომ გაჭიანურება გაუმართლებელია.

21. ზემოხსენებული მოსაზრებები საკმარისია სასამართლოსათვის, რათა დაასკვნას, რომ მომჩივანის ვაჟის გარდაცვალებაზე სისხლისსამართლებრივი გამოძიება არ იყო ეფექტური, კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევით.

22. რაც შეეხება მოპასუხე სახელმწიფოს სავარაუდო პასუხისმგებლობის საკითხს მომჩივანის ვაჟის გარდაცვალებაში, სასამართლო საქმის ხელმისაწვდომი მასალების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მას არ შეუძლია რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება კონვენციის მე-2 მუხლის არსებით ნაწილში .

შესაბამისად სასამართლო არ განიხილავს ამ საჩივარს (იხილეთ *Sakvarelidze v. Georgia*, no. 40394/10, §§ 49-50, 6 თებერვალი 2020, და *M.H. and Others v. Croatia* ციტირებული ზემოთ, §§ 165-66)

II კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

23. მომჩივანმა მოითხოვა 50,000 ევრო (EUR) არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, მისი შვილის სიკვდილით გამოწვეული ტანჯვისა და ამ შემთხვევაზე არაეფექტური გამოძიების გამო. მას არ მოუთხოვია, რაიმე ფულადი ჯილდო ან ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება.
24. მთავრობამ მიუთითა, რომ მომჩივანს შეეძლო მოეთხოვა კომპენსაცია ეროვნულ სასამათლოში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.
25. სასამართლო, სამართლიანობის საფუძველზე, აკუთვნებს მომჩივანს 12,000 ევროს არამატერიალური ზიანისათვის, დამატებით ნებისმიერი გადასახადი, რაც შეიძლება დაეკისროს.

ამ მიზეზების გამო სასამართლო ერთხმად,

1. დასაშვებად ცნობს საჩივარს
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტი;
3. ადგენს რომ,

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივანს სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად 12,000 ევრო (თორმეტი ათასი ევრო), ამასთან ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს გადასახდელი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გამო, გაიცემა მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში გადახდის თარიღისათვის მოქმედი კურსით.

4. უარყოფს მომჩივანის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.